

## Erasmus + mobility for training in Konstantine the Philosopher University of Nitra (UKF) (Slovakia)

საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტსა და სლოვაკეთის კონსტანტინე ფილოსოფოსის სახელობის ნიტრის უნივერსიტეტს შორის არსებული თანამშრომლობის საფუძველზე მონაწილეობა მივიღე აკადემიური პერსონალის ტრენინგისათვის გამოცხადებულ Erasmus + კონკურსში.

მოხილობის პერიოდი მოიცავდა 2023 წლის 5-9 ივნისს, 5 სამუშაო დღე. მოხილობის ფარგლებში შევხვდი UKF-ის ადმინისტრაციულ და აკადემიურ პერსონალს. საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის წევრებთან ერთად ვისაუბრეთ უნივერსიტეტებს შორის არსებული თანამშრომლობის გაღრმავებასა და Erasmus + სტუდენტური მოხილობის პროექტებში სამომავლო კოლაბორაციაზე.

ტრენინგის პერიოდში გავეცანი სასწავლო პროცესის დაგეგმარებისა და მიმდინარეობის პროცესებს სხვადასხვა საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისად. პროფესორ დანკა ლუკაჩოვასთან ერთად განვიხილეთ კურსუკულუმების დაგეგმარების საფეხურები. ნაყოფიერი შეხვედრები გავმართეთ ინფორმატიკის ფაკულტეტის სხვადასხვა დეპარტამენტის პროფესორ-მასწავლებლებთან, განსაკუთრებით აღსანიშნავია პროფესორ ვიერა ტომკოვასა და მიროსლავ სებოსთან შეხვედრა რომლებმაც, გამიზიარეს თავიანთი გამოცდილება და სასწავლო მასალები სამ განზომილებიანი მოდელირების მედიცინასა და ყოველდღიურ აპლიკაციებში გამოყენებასთან დაკავშირებით. ასევე შევხვდით სასწავლო დეპარტამენტის ხელმძღვანელს, პროფესორ ჟანა დეპეშოვას, რომელთან ერთადაც განვიხილეთ UKF-სა და GTU-ში მიმდინარე აკრედიტაციის პროცესის მიმდინარეობა.

მოხილობის პერიოდის ბოლოს, გავმართეთ პანელური დისკუსია ინფორმატიკის ფაკულტეტის ფროფესორ ლეველ ნეთაველთან ჩვენს უნივერსიტეტებში ხელოვნური ინტელექტის მიმართულებით მიმდინარე პროექტების შესახებ.



